ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 17 ნოემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- ნინო გაბელაშვილი

მთავარი ბუღალტერი ----- ია შენგელია

თანდართული შენიშვნები 12-23 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები მოცემულია ქართულ ლარში)

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	26,704,982	30,668,384
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(21,677,942)	(26,150,369)
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,814,634)	(4,306,216)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,212,406	211,799
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	(183,972)	(512,829)
სესხის გაცემა და შემდგომი დაბრუნება	-	(39,000)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	2,748
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(183,972)	(549,081)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან	44,181	(49,438)
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	-	2,213,187
წილის გამოსყიდვა მესაკუთრისგან	(832,238)	-
სესხის ძირის გადახდა	(730,007)	(1,518,473)
სესხის პროცენტის გადახდა	(721,934)	(259,727)
დივიდენდების გადახდა	(10,000)	(82,755)
სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	244,267	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(2,005,731)	302,794
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	22,703	(34,488)
სავალუტო კურსის ეფექტი	(17,069)	(16,742)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	60,371	111,601
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	66,005	60,371

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 17 ნოემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი

ნინო გაბელაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ია შენგელია

თანდართული შენიშვნები 12-23 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ერომეტალი“-ს (შემდგომში – კომპანია) მიერ. შპს „ერომეტალი“ დარეგისტრებულია 2017 წლის 22 ნოემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია – 402068445, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი N 118. დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2017 წლის 1 დეკემბერს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

გიორგი აფციაური (პ/ნ: 01024056553), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 51%;
შპს ერომეტალი (ს/ნ: 402068445), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 49%.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები იყვნენ:

გიორგი აფციაური (პ/ნ: 01024056553), - კაპიტალში წილის 51%;
იური ბუბაშვილი (პ/ნ: 41001000143), - კაპიტალში წილის 49%.

2024 წლის 10 ოქტომბერს შპს ერომეტალმა იური ბუბაშვილისგან გამოსყიდა კაპიტალის წილის 49%.

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოა პარტნიორთა კრება.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – როგორც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს იყო დირექტორი – **ნინო გაბელაშვილი** (პ/ნ: 41001008446).

კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით, არ ჰყავს მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები.

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობას წარმოადგენს მეტალის ნაწარმის წარმოება და საბითუმო ვაჭრობა.

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ზოგჯერ წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და კომერციულ კომპანიებს შორის.

წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით, საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. ფინანსური ანგარიშგების „მსს ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს

დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია „მს ფას“-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მს ფას-ის შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება – პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური ინსტრუმენტები

მს ფას-ის მე-11 განყოფილება – „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას. ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

თავდაპირველი აღიარება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება).

შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორიცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების

მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღგ-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, აქციზის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო შეწონილ ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დანიშნულებისამებრ.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	4%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10%;
მანქანა-დანადგარები	10%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5%-20%;
საოფისე აღჭურვილობა	20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	20%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 15%;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით. 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირები).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა (გარდა დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ არმყოფი ზოგიერთი სახის კომპანიისა).

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
საშუალო კურსი 2024	2.7208	2.9440
საშუალო კურსი 2023	2.6279	2.8416

3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა ბანკში	15,827	55,626
უცხოური ვალუტა ბანკში	37,740	5
სულ ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	53,567	55,631
ეროვნული ვალუტა სალაროში	12,438	4,740
სულ ფულადი ნაშთები სალაროებში	12,438	4,740
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	66,005	60,371

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,835,753	1,891,631
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(950,831)	(932,290)
სულ	884,922	959,341

5. გაცემული ავანსები

	31.12.2024	31.12.2023
გაცემული ავანსები	723,561	865,451
სულ	723,561	865,451

გაცემული ავანსები მოიცავს გადახდებს როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ კონტრაგენტებზე, რომლებიც განხორციელებულია მომავალ პერიოდში ეკონომიკური სარგებლის მისაღებად.

6. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული	3,782,845	3,330,741
მზა პროდუქცია	201,702	218,168
დაუმთავრებელი წარმოება	157,283	29,482
სხვა მარაგი	17,088	4,189
სულ	4,158,918	3,582,580

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობ ები	ტრანსპ ორტი	მანქანა- დანადგარები	კომპიუტე რები	საოფისე აღჭურვ ილობა	ავეჯი და ინვენტარი	სულ
პირვანდელი ღირებულება								
31.12.2022	677,721	2,821,934	193,102	1,536,806	39,487	23,407	38,128	5,330,585
შემოსვლა	-	393,742	24,055	56,132	19,079	19,821	-	512,829
გასვლა	-	-	(8,040)	-	-	-	-	(8,040)
31.12.2023	677,721	3,215,676	209,117	1,592,938	58,566	43,228	38,128	5,835,374
შემოსვლა	1,232,589	449,592	-	31,211	-	5,285	8,677	1,727,354
გასვლა	-	(112,892)	-	-	-	-	-	(112,892)
31.12.2024	1,910,310	3,552,376	209,117	1,624,149	58,566	48,513	46,805	7,449,836
დაგროვილი ცვეთა								
31.12.2022	-	60,474	31,105	19,847	11,794	10,715	10,546	144,481
ცვეთის ხარჯი	-	95,124	19,105	149,165	-	13,813	10,237	287,444
ჩამოწერა	-	-	(1,192)	-	-	-	-	(1,192)
31.12.2023	-	155,598	49,018	169,012	11,794	24,528	20,783	430,733
ცვეთის ხარჯი	-	129,444	19,866	154,028	-	14,963	12,429	330,730
ჩამოწერა	-	(112,892)	-	-	-	-	-	(112,892)
31.12.2024	-	172,150	68,884	323,040	11,794	39,491	33,212	648,571
საბალანსო ღირებულება								
31.12.2023	677,721	3,060,078	160,099	1,423,926	46,772	18,700	17,345	5,404,641
31.12.2024	1,910,310	3,380,226	140,233	1,301,109	46,772	9,022	13,593	6,801,265

ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების შესაბამისად, კომპანიის აქტივებზე გავრცელებულია იპოთეკის უფლება სესხების უზრუნველყოფის სახით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იპოთეკით დატვირთულია შემდეგი უძრავი ქონება: წერეთელზე მდებარე მიწის ნაკვეთი №00380 – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ფართობით 600 კვ.მ. (ს/ნ 01.13.05.002.083), რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 652,632 ლარს; მიწის ნაკვეთი მარტყოფში (ს/ნ 81.10.39.546), ლილოს ტერიტორიაზე, გეზის მიმდებარედ, ფართობით 10,140 კვ.მ., საბალანსო ღირებულებით 1,045,205 ლარი. ასევე იპოთეკით უზრუნველყოფილია აღნიშნულ მიწებზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, მათ შორის: მეტალობაზა №00381 (570 კვ.მ.) წერეთელზე – 44,209 ლარი, ოფისი №00382 (30 კვ.მ.) წერეთელზე – 16,898 ლარი, და ლილოს ბაზა №1043 – 2,812,725 ლარი.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ კაპიტალში მფლობელებისგან მიიღო აქტივები კაპიტალური შენატანის სახით. აღნიშნული აქტივები წარმოადგენს ლილოს ტერიტორიის მიმდებარე მიწის ნაკვეთებს, რომლებიც აღიარებულ იქნა სამართლიანი ღირებულებით საბაზრო მეთოდის გამოყენებით. კერძოდ, კაპიტალში აისახა მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 81.10.39.547 (ფართობით 861 კვ.მ.) საბაზრო ღირებულებით 81,981 ლარი, და მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 81.10.39.546 (ფართობით 10,140 კვ.მ.), რომლის ღირებულება შეადგენს 1,112,019 ლარს. აღნიშნული აქტივები აღიარებულია როგორც მფლობელების მიერ განხორციელებული არაფულადი კაპიტალური შენატანი, რამაც გამოიწვია კომპანიის კაპიტალის ზრდა შესაბამისი ოდენობით.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების წინაშე	1,142,520	920,589
ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების წინაშე	818,210	453,649
სხვა ვალდებულებები	180,556	-
სულ	2,141,286	1,374,238

9. მიღებული ავანსები

	31.12.2024	31.12.2024
მიღებული ავანსები	37,761	411,583

მიღებული ავანსები 2024 წლის მდგომარეობით შეადგენს 37,761 ლარს და წარმოადგენს კომპანიის მიერ მომხმარებლებისგან მიღებულ წინასწარ გადახდებს იმ პროდუქციის შესაძენად, რომლის იმპორტიც ხორციელდება უცხოელი მომწოდებლებისგან. აღნიშნული თანხები აღიარებულია როგორც ვალდებულება, ვინაიდან კომპანიას გააჩნია მიმდინარე ვალდებულება მომხმარებლების წინაშე შესაბამისი პროდუქციის მიწოდების უზრუნველსაყოფად უცხოური პარტნიორებისგან საქონლის ჩამოტანის შემდეგ.

10. მიღებული სესხები

	31.12.2024	31.12.2023
მიღებული სესხები - გრძელვადიანი წილი	5,421,896	7,283,969
გრძელვადიანი ვალდებულებები	5,421,896	7,283,969
მიღებული სესხები - მიმდინარე წილი	1,842,561	476,843
გადასახდელი პროცენტი	49,692	45,408
მოკლევადიანი ვალდებულებები	1,892,253	522,251
სულ	7,314,149	7,806,220

კომპანიას სესხები აღებული აქვს კომერციული ბანკებიდან. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13.47%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 9%-ს.

11. კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ევრომეტალის“ წესდებით განსაზღვრული განთავსებული კაპიტალი იყო ნული ლარი (2023 წლის 31 დეკემბერს 328,861 ლარი).

2024 წლის 10 ოქტომბერს შპს „ევრომეტალმა“ გამოისყიდა ერთ-ერთი დამფუძნებლის წილი საკუთარ კაპიტალში - 49%, 1,001,425 ლარად

2024 წელს კომპანიაში მოხდა 771,254 ლარის დამატებითი კაპიტალის შეტანა.

12. ამონაგები

	2024	2023
საქონლის რეალიზაცია	21,354,841	26,726,766
სხვა	125,369	129,159
სულ	21,480,210	26,855,925

კომპანიის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ლითონის მასალების რეალიზაცია.

13. რეალიზაციის თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18,629,003	23,484,666
ხელფასის ხარჯები	393,577	264,616
სხვა	26,973	39,164
სულ	19,049,553	23,788,446

14. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	175,016	176,735
რეკლამის ხარჯები	160,053	84,912
სამუშაო მომსახურების ხარჯები	51,204	208,896
მიწოდების სხვა ხარჯი	179,208	24,338
სულ	565,481	494,881

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასი	624,915	816,025
საგადასახადო ხარჯები	51,445	46,363
საკონსულტაციო ხარჯები	71,612	46,863
დაზღვევის ხარჯები	5,847	4,806
იჯარის ხარჯები	17,542	31,102

კომუნიკაციის ხარჯები	10,703	4,340
ოფისის ხარჯები	13,328	18,982
ბანკის მომსახურების ხარჯები	152,475	155,668
ტრანსპორტირებისა და საწვავის ხარჯები	102,163	242,366
რემონტის ხარჯები	98,160	52,911
მიწის ნაკვეთის ხარჯები	8,588	15,333
კომპიუტერის ხარჯები	1,943	2,152
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,645	550
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	135,127	152,761
სულ	1,295,491	1,590,222

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	293,537	291,494
სხვა	18,541	224,948
სულ	312,078	516,442

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	1,728,000	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	67,980	6,013
სულ	1,795,980	6,013

18. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2024	2023
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	8,509	13,306
სხვა საგადასახადო ხარჯები	1,671,576	46,871
სულ	1,680,085	60,177

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავეს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავე საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

**განხორციელებული ტრანზაქციები
პარტნიორთან და ძირითად მენეჯმენტთან**

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2024	დაუფარავი ნაშთი 31.12.2023	ტრანზაქციის ღირებულება 2024 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	185,479	246,508	-	-
მიღებული სესხები	-	23,481	-	-
ხელფასის ხარჯი	-	-	198,167	-
ამონაგები	-	-	32,128	-
მივლინების ხარჯები	-	-	1,812	-

**ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ
მხარეებთან**

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2024	დაუფარავი ნაშთი 31.12.2023	ტრანზაქციის ღირებულება 2024 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2023 წელი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,405	174,242	-	-
მიღებული ავანსები	-	2,332	-	-

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	79,479	310,333	-	-
ამონაგები	-	-	60,509	670,971
გაცემული სესხები	88,500	-	-	-

21. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი – ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო გახდა მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის სიმცირე ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში, თუმცა მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანიას სასამართლო დავები არ ჰქონია.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 17 ნოემბრამდე, არ მომხდარა რაიმე სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას. თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე საყურადღებო მოვლენა:

- კომპანიამ დაფარა 979,616 ლარის სესხი;
- კომპანიამ აიღო 2,942,186 ლარის სესხი;
- კომპანიამ გასცა 8,000 ლარის დივიდენდი.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 17 ნოემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

**შპს „ევრომეტალი“
მმართველობის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

ინფორმაცია შპს „ევრომეტალის“ საქმიანობის შესახებ

შპს „ევრომეტალი“ (თავდაპირველი სახელი შპს „მეტალ ექსპო“) დაარსდა 2017 წლის 22 ნოემბერს.

კომპანია მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე - ვაჭრობს რკინის ნაწარმის სხვადასხვა სახეობით. ესენია: არმატურა, გლინულა, კუთხოვანა, პროფილური მილი, მრგვალი მილი, წერტილოვანი ბადე, ლითონის ფურცელი და სხვ.

შპს „ევრომეტალის“ ტვირთბრუნვა შეადგენს წელიწადში დაახლოებით 60,000 ტონას.

კომპანიას საკუთრებაში აქვს მიწის ფართობები, რომლებიც შეიძინა 2017-2023 წელს, ძირითადი საქმიანობის და საინვესტიციო მიზნებისთვის. ფირმის დამატებით შემოსავალს შეადგენს მიწის გაქირავებიდან მიღებულ თანხებიც.

2024 წლისთვის კომპანია ფლობს 3 ობიექტს:

- 1) თბილისი, ა.წერეთლის 118;
- 2) მარტყოფი, ლილო, გეზის მიმდებარე ტერიტორია;
- 3) სამტრედია, აღმაშენებლის ქ. 290.

2023 წლიდან კომპანიამ დაიწყო საკუთარი წარმოება ლილოს ბაზაზე, რომელიც მოიცავს შემოსაღობი მასალის წარმოებას (პანელური ღობეები, ეკლიანი მავთულები, შენადული/მოქსოვილი ბადეები და ა.შ) და „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში შეიძინა აღნიშნული წარმოებისთვის დანადგარები.

შპს ევრომეტალს დასაქმებული ჰყავს 60-მდე თანამშრომელი. ფირმა ემსახურება როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს. კომპანია ქართულ ბაზარზე საშუალო დონის მოთამაშეა. იგი ახორციელებს სხვადასხვა სახეობის და ხარისხის რკინის ნაწარმის იმპორტს ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანი, ასევე ახორციელებს ადგილობრივ შემენებს შემდგომი გაყიდვის მიზნით.

გაყიდვები

კომპანია ვაჭრობს როგორც საცალო, ასევე საბითუმო სეგმენტზე და სახელმწიფო ორგანიზაციებთან - საერთო ჯამში ემსახურება წლიურად 8 000 კლიენტს, უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდება-ტრანსპორტირებას საქართველოს ყველა რეგიონში.

კომპანიის მენეჯმენტის აზრით იმპორტი სხვადასხვა ქვეყნიდან უზრუნველყოფს მარაგების სტაბილურ მოწოდებას და შეუფერხებელ ვაჭრობას.

მნიშვნელოვანია, რომ შპს „ევრომეტალს“ აქვს პირდაპირი კავშირი მომწოდებლებთან, რაც განაპირობებს პროდუქციაზე კონკურენტულად დაბალი ფასის და მარაგების უსაფრთხო დონის შენარჩუნებას.

2025 წლის განვითარების გეგმები

შპს ევრომეტალი ორიენტირებულია გაფართოებაზე და ბაზრის წილის ზრდაზე.

2021-2023 წელს მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კომპანიამ დაასრულა 2 ახალი ბაზის (ლილო, სამტრედია) მშენებლობა, რომელიც აშენდა საქმიანობის გაფართოების და ბრუნვის გაზრდის მიზნით.

შევიძინეთ დამატებითი ორი ამავე სამუშაო პროცესის დატვირთვიდან გამომდინარე.

შევიძინეთ და დავენერგეთ მენეჯერული/ბუღალტრული აღრიცხვის გაუმჯობესებული პროგრამა და მისთვის საჭირო ძლიერი სერვერი. აგრეთვე გამოიცვალა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომპანიაში არსებული აიტი ტექნოლოგიები.

შპს „ევრომეტალის“ ძირითადი მიზნები მომდევნო 2 წლისთვის შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

□ ბაზრის წილის ზრდა;

□ დამატებითი მეტალო-ბაზის მშენებლობა თბილისის გარეთ, წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის და რეალიზაციის გაზრდა;

□ საქმიანობის სფეროს გაფართოება.

□ კლიენტთა მოზიდვა ფასების რეგულირებით, მომსახურებების დახვეწით და კომფორტის შექმნით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტის აზრით ფირმის განვითარებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ობიექტურმა, ასევე სუბიექტურმა რისკ-ფაქტორებმა. ობიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, რაც ყველა ბიზნესისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. ასევე გეოპოლიტიკური მდგომარეობა და დიპლომატიური ურთიერთობები იმ მოკავშირე ქვეყნებთან, საიდანაც ხორციელდება პროდუქციის იმპორტი.

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ვალუტის კურსის მკვეთრმა ზრდამ. საწარმო სარგებლობს საბანკო სესხით, რომელიც ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში (დოლარში). კურსის ცვლილება ბუნებრივია გაზრდის საპროცენტო ხარჯს, რაც უარყოფითად აისახება წმინდა მოგების სიდიდეზე.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო რეგულაციები, რომელიც უწესდება რკინის ნაწარმს. ხშირი ბიუროკრატიული და საკანონმდებლო ცვლილებები მოქმედებს ბაზრის სტაბილურობაზე, იწვევს მოთხოვნა-მიწოდების რყევებს და ართულებს ბიზნესის განვითარების პროცესს. რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, კომპანია ორიენტირებულია დანერგოს და დახვეწოს მენეჯმენტის სწორი მიდგომები, რომელიც შეესაბამება მის საქმიანობას.

მიმდინარეობს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების სტანდარტის გასაუმჯობესებლად, რაც განაპირობებს თანამშრომელთა უსაფრთხო სამუშაო გარემოს, მათი უფლებების დაცვას და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნას.

კომპანია ცდილობს აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რაც გამოიწვევს საწარმოო ციკლის შეფერხებას ან არასწორ აღრიცხვას, მუშაობს კონტროლის მექანიზმების სრულყოფაზე პროდუქციის შეძენიდან მის საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდებისთვის. შპს ევრომეტალს უწევს საკმაო რესურსის დახარჯვა პრობლემურ (გადახდისუუნარო) კლიენტებთან დაკავშირებით. კომპანია ცდილობს წინასწარ მიიღოს დაზღვევის სხვადასხვა ზომები, როგორცაა შესაძლებელი ხელშეკრულების

გაფორმება და ვადის განსაზღვრა არაუმეტეს 60 კალენდარული დღისა, რათა თავიდან აიცილოს პრობლემური დებიტორული დავალიანებების ზრდა.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს „ევრომეტალის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) მიხედვით.

ფინანსური მაჩვენებლები

შპს „ევრომეტალი“-ს 2020-2024 წელს მიღებული შემოსავლების პროცენტული გადანაწილებისა და სხვა ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

პერიოდი	2020	2021	2022	2023	2024
შემოსავალი რეალიზაციიდან	13,744,909	28,313,229	30,947,798	26,855,925	21,480,210
მოგება/ზარალი სრული	250,290	1,949,915	495,903	2,343	(250,052)

ბოლო წლების დინამიკას თუ დავაკვირდებით, შემცირებულია მოგება, რაც გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით: 2022 თებერვლიდან რუსეთ-უკრაინის ომმა დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენს გაყიდვებზე და ბრუნვაზე, რადგან რუსეთი და უკრაინა სამშენებლო რკინა-მასალის მსოფლიო ბაზარის მსხვილ მონაწილეებად ითვლებიან და ეს ქვეყნები ჩვენი კომპანიის მომწოდებლები არიან, შეწყდა მასალის მოწოდება, კომპანიამ დაიწყო ალტერნატიული გზების და მომწოდებლების მოძიება, ამის შედეგად მასალის შეძენა 22 წლის თებერვლიდან ხდებოდა ძირითადად თურქეთიდან და ირანიდან შედარებით მაღალ ფასად, ამ დროს ბაზარზე სარეალიზაციო ფასების შემცირებამ (საბაზრო კონკურენციიდან გამომდინარე) გამოიწვია უარყოფითი გავლენა ჩვენს კომპანიაზე.

რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე

შპს „ევრომეტალმა“ მიიღო გადაწყვეტილება უფრო ცნობადი გამხდარიყო ქვეყნის მასშტაბით. დაიწყო აქტიური სარეკლამო კამპანია. ბრენდის სიძლიერეზე მეტყველებს მისი უწყვეტი ზრდა-განვითარება, რაც გამოიხატება არა მხოლოდ ფინანსურ მაჩვენებლებში, არამედ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაშიც. „ევრომეტალი“ არის კომპანია, სადაც შესაძლებელია ნებისმიერი სახეობის, მაღალი ხარისხის რკინის პროდუქციის შეძენა მთლიანი ქვეყნის მასშტაბით.

მომხმარებელები

კომპანია გამოირჩევა მომხმარებლების დიდი რაოდენობით და მრავალფეროვნებით. ჩვენთვის ყველა კლიენტი მნიშვნელოვანია. შპს „ევრომეტალი“ ამარაგებს როგორც კერძო მშენებლობებს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო პროექტებს. კომპანია მუშაობს კვირაში შვიდი დღე, მაქსიმალურად ოპერატიულად აწვდის შეკვეთას ქვეყნის ყველა რეგიონში და ცდილობს მოერგოს მომხმარებელთა მოთხოვნებს.

დასაქმებულები

კომპანიაში ამჟამად დასაქმებულია 60-მდე ადამიანი. თანამშრომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. კომპანიის ლოიალური პოლიტიკის წყალობით ყველა კატეგორიის მუშახელს, საშუალება

ემლება წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები და განვითარდეს სურვილისამებრ. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დასაქმებულთა ფონდი და საჭიროებისამებრ გაზარდოს მომავალში.

სუბიექტის პოზიცია ბაზარზე

შპს „ევრომეტალი“ ქართული ბაზრის საშუალო მონაწილეა თავის დარგში. კომპანია ცდილობს გაიმყაროს და გაზარდოს პოზიციები მუდმივი განვითარებით და სწორი გადაწყვეტილებებით

კვლევა და განვითარება

ქართული რკინის ბაზარი უაღრესად კონკურენტულია და კომპანია იბრძვის განვითარებისთვის კონკურენტული ფასების პირობებში. ამისთვის იგი მუდმივად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს და ცდილობს დახვეწოს ლოჯისტიკური პრობლემები. ატარებს ბაზრის კვლევებს მოთხოვნის ცვლილებების შესწავლის მიზნით, პროდუქციის შემოტანის ალტერნატიული გზების აღმოსაჩენად, რათა თავიდან აიცილოს შესაძლო განუსაზღვრელობები ეკონომიკური რყევების პირობებში.

შპს „ევრომეტალი“-ს

დირექტორი:

ნინო გაბელაშვილი

17.11.2025

ემღება წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები და განვითარდეს სურვილისამებრ. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დასაქმებულთა ფონდი და საჭიროებისამებრ გაზარდოს მომავალში.

სუბიექტის პოზიცია ბაზარზე

შპს „ევრომეტალი“ ქართული ბაზრის საშუალო მონაწილეა თავის დარგში. კომპანია ცდილობს გაიმყაროს და გაზარდოს პოზიციები მუდმივი განვითარებით და სწორი გადაწყვეტილებებით

კვლევა და განვითარება

ქართული რკინის ბაზარი უაღრესად კონკურენტულია და კომპანია იბრძვის განვითარებისთვის კონკურენტული ფასების პირობებში. ამისთვის იგი მუდმივად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს და ცდილობს დახვეწოს ლოჯისტიკური პრობლემები. ატარებს ბაზრის კვლევებს მოთხოვნის ცვლილებების შესწავლის მიზნით, პროდუქციის შემოტანის ალტერნატიული გზების აღმოსაჩენად, რათა თავიდან აიცილოს შესაძლო განუსაზღვრელობები ეკონომიკური რყევების პირობებში.

შპს „ევრომეტალი“-ს

დირექტორი:

ნინო გაბელაშვილი



17.11.2025